საშინაო დავალება-27.01.2023 წელი

კითხვის გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა

I. სასწავლო გარემო

კითხვის ხელშემწყობი გარემოს შექმნისა და კლასის ეფექტურად მართვის მიზნით, მასწავლებელი...

◯ საკლასო სივრცეში მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომად განათავსებს დამხმარე თვალსაჩინოებებსა და რესურსებს (მოსწავლეთა ნამუშევრები / საკლასო ბიბლიოთეკა / მანიპულატივები / ჟურნალ-გაზეთები / კითხვის აქტივობის ბარათები / მეთოდური პოსტერები / სამუშაო ფურცლები / სიტყვების კედელი და სხვ.).

◉ იოლად გადააწყობს საკლასო გარემოს, რათა მოსწავლეებს მიეცეთ კითხვის აქტივობების სხვადასხვა ფორმატზე სწრაფად გადართვის საშუალება (მთელი კლასი, მცირე ჯგუფები, წყვილები, ინდივიდუალური მუშაობა).

◯ კითხვის პროცესში წაახალისებს აქტიურ მონაწილეობასა და პოზიტიურ სოციალურ ინტერაქციას (მასწავლებელი - მოსწავლე, მოსწავლე - მოსწავლე). ადეკვატურად შეარჩევს და იყენებს პოზიტიურ, მასტიმულირებელ ფრაზებს, ტონს, არავერბალურ ენას.

◯ ყველა მოსწავლეს უქმნის ინკლუზიურ სასწავლო გარემოს. მათ შორის, პრობლემურ მკითხველებსა და დასწავლის და / ან ფიზიკური სირთულეების მქონე მოსწავლეებს;

ყველა მოსწავლეს თანაბრად აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ ყველა ტიპის აქტივობაში და ჩაერთონ კითხვის პროცესში ინდივიდუალურად/წყვილებში/ჯგუფებში;

პრობლემურ მკითხველებს უზრუნველყოფს მათი საჭიროების შესაბამისი სასწავლო მასალითა და "ხარაჩოებით".

◉ ინდივიდუალურად რეაგირებს და ეხმარება იმ მოსწავლეებს, რომლებსაც უძნელდებათ საგაკვეთილო აქტივობების შესრულება.

◯ იცავს გენდერულ ბალანსს და ერთნაირად წაახალისებს გოგონებსა და ბიჭებს (უსვამს თანაბარი სირთულის შეკითხვებს / აძლევს თანაბარ დროს საპასუხოდ / ერთად ამუშავებს მცირე ჯგუფებში).

◯ არ ასრულებს არცერთ პუნქტს ზემოთ ჩამოთვლილთაგან.

II. წაკითხვამდე

კითხვისთვის მომზადების მიზნით, მასწავლებელი...

◉ ეხმარება მოსწავლეებს წასაკითხი ტექსტის წინასწარ მიმოიხილვაში (სათაური, ილუსტრაცია, ავტორი, თემა / საკითხი / პრობლემა, ტექსტის ტიპი / ჟანრი, თემასა და უნარებთან დაკავშირებული მიზნები).

◯ წასაკითხი ტექსტის წინასწარ მიმოხილვისას იყენებს ინტერესის აღმძვრელ, მაპროვოცირებელ დამატებით საშუალებებს (ტექსტის მთავარ იდეასთან / თემასთან / საკვანძო ცნებებთან / პერსონაჟებთან დაკავშირებული აუდიო-ვიდეომასალა, ფოტოები, მანიპულატივები და სხვ.).

◉ უბიძგებს მოსწავლეებს წინარე ცოდნის გააქტიურებისკენ.

◉ ეხმარება მოსწავლეებს ვარაუდებისა და მოლოდინების ჩამოყალიბებაში.

◯ გაკვეთილზე მიმართავს კითხვის / წერის სამიზნე (განსამტკიცებელი, ასათვისებელი) სტრატეგიის / უნარის მიმოხილვასა და მოდელირებას, ამ პროცესში რთავს მოსწავლეებსაც.

◯ არ ასრულებს არცერთ პუნქტს ზემოთ ჩამოთვლილთაგან.

III. წაკითხვის დროს

ტექსტის წაკითხვისა და დამუშავებისას, მასწავლებელი...

◯ დაამუშავებინებს მოსწავლეებს ტექსტის გააზრებისთვის საჭირო, საკვანძო ლექსიკურ ერთეულებს.

◯ მიზნობრივად და თანმიმდევრულად წარმართავს ერთობლივი, მართული და / ან დამოუკიდებელი კითხვის აქტივობებს.

◯ იყენებს სამოდელო და ერთობლივი კითხვის აქტივობებს გაწაფული კითხვის გასაუმჯობესებლად; საკმარის დროს უთმობს მოსწავლეების მიერ ტექსტების დამოუკიდებლად წაკითხვას ინდივიდუალურად / წყვილებში / მცირე ჯგუფებში.

◯ სთავაზობს მოსწავლეებს, უპასუხონ და თავადაც დასვან მრავალდონიანი - ფაქტობრივი და ღრმა სააზროვნო - შეკითხვები. ამასთან, იცავს ბალანსს საკუთარ, სახელმძღვანელოსა და თავად მოსწავლეების მიერ დასმულ შეკითხვებს შორის.

◉ სთხოვს მოსწავლეებს, გამოიყენონ გაგება-გააზრების სხვადასხვა სტრატეგია (მიზნობრივი შეკითხვები, ვარაუდები, წარმოსახვა, შეჯამება, კავშირები, წაკითხულთან მიბრუნება, დასკვნები).

◯ წაახალისებს და მოდელირებას უკეთებს ახალი სიტყვების გამოყენებას ტექსტზე წერილობითი გამოხმაურებისას და / ან საუბრისას.

◉ ეხმარება მოსწავლეებს ტექსტის სტრუქტურულ (მაგ., სათაური, აბზაცი, თავი, ილუსტრაცია, სტრიქონი, შრიფტი და სხვ.) და ენობრივ (მაგ., სინონიმები, ფრაზეოლოგიზმები, იდიომები, მხატვრული ხერხები, ტერმინები და სხვ.) მახასიათებლებზე კონცენტრირებაში.

◯ არ ასრულებს არცერთ პუნქტს ზემოთ ჩამოთვლილთაგან.

IV. წაკითხვის შემდეგ

ტექსტის წაკითხვის შემდეგ, მასწავლებელი...

◉ სვამს შეკითხვებს, რომლებიც მოსწავლისგან მოითხოვს ტექსტთან მიბრუნებას.

◉ წარმართავს დისკუსიას, რომლის დროსაც მოსწავლეები გამოთქვამენ იდეებს / მოსაზრებებს და ასაბუთებენ მათ ტექსტის კონკრეტულ მონაკვეთებზე დაყრდნობით.

◯ რთავს კლასს იმგვარ აქტივობებში (შინაარსის თხრობა, ზეპირი პრეზენტაცია, დისკუსია, წერილობითი გამოხმაურება და სხვ.), რომლებიც უბიძგებს და ეხმარება მათ საკუთარი სიტყვებითა და ახლად ათვისებული ლექსიკური ერთეულებით გადმოსცენ დამუშავებული მასალა, მის ძირითად იდეებსა და ცნებებზე კონცენტრირებით.

◯ ეხმარება მოსწავლეებს წაკითხვამდე გამოთქმული ვარაუდების გადამოწმებაში.

◉ ეხმარება მოსწავლეებს კითხვის პროცესზე რეფლექსიაში (რა ისწავლეს - იდეები / ცნებები / უნარები / სტრატეგიები - და როგორ გამოიყენონ ნასწავლი).

◯ საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, სხვადასხვა ფორმით გამოეხმაურონ წაკითხულ ტექსტს (ზეპირად და წერილობით).

◯ არ ასრულებს არცერთ პუნქტს ზემოთ ჩამოთვლილთაგან.

V. დავალებები და რესურსები

დავალებები და რესურსები...

◯ შეიცავს კომპონენტებს, რომლებსაც აქვს ღია დასასრული და ორიენტირებულია კრიტიკულ აზროვნებასა და პრობლემების გადაჭრაზე (მაგ., პრობლემის განსაზღვრა, შეკითხვების დასმა და საკითხის სხვადასხვა რაკურსით განხილვა, ინფორმაციის შეგროვება / ინტერპრეტირება, გადაჭრის ალტერნატივის მოძიება / არგუმენტებით გამყარება).

◯ არის ავთენტური, მასტიმულირებელი და იძლევა ყველა მოსწავლის ჩართვის საშუალებას.

◯ გულისხმობს ათვისებული ცოდნის და კითხვის უნარის/სტრატეგიის განსხვავებულ კონტექსტში გააზრებასა და გამოყენებას (ცოდნის ტრანსფერი).

◯ აკადემიურად გამართულია (ფაქტობრივი, მეთოდური, ენობრივი მხარეები).

◯ იძლევა კითხვის დიფერენცირებულად სწავლების, კერძოდ, მოსწავლეთა კითხვის დონეების მიხედვით დაჯგუფების, მათი შესაძლებლობებისა და განვითარების უახლოესი ზონის გათვალისწინების, შესაფერისი სკაფოლდინგის საშუალებას.

◯ არ შეესაბამება არცერთ პუნქტს ზემოთ ჩამოთვლილთაგან.

VI. განმავითარებელი შეფასება

ცოდნის გადამოწმებისა და განმავითარებელი შეფასების მიზნით, მასწავლებელი...

◯ მონიტორინგს უწევს და პერიოდულად გადაამოწმებს წაკითხულის გაგება-გააზრებას, კითხვის პროცესს, ტექსტთან დაკავშირებული დავალებების შესრულებას, ათვისებული უნარების / სტრატეგიების დემონსტრირებას.

◯ მიზნობრივად აწვდის მოსწავლეებს დაბალანსებულ, აღწერით უკუკავშირს (ინდივიდუალიზებული / წყვილური / ჯგუფური / მთელი კლასი).

◉ საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, ღიად და გულწრფელად გამოხატონ განწყობები კითხვის აქტივობების მიმართ.

◉ გაკვეთილის მსვლელობისას მიღებულ მოსწავლეთა გამოხმაურებას ითვალისწინებს კითხვისა და წერის მიმდინარე აქტივობების წარმართვისას.

◯ გაკვეთილის მსვლელობისას იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან, პრაქტიკულ ტექნიკებსა და ინსტრუმენტებს.

◯ არ ასრულებს არცერთ პუნქტს ზემოთ ჩამოთვლილთაგან.

სათაური გააცნო მხოლოდ და თვითონ ბავშვებს ვარაუდების სახით გამოაქთმევინა რაზე შეიძლება ყოფილიყო ეს მოთხრობა.

გაკვეთილის დასაწყისში მიზანი ,მიზნიდან გამომდინარე მოსალოდნელი შედეგი, შეფასების კრიტერიუმები ბავშვებს არ გააცნო. ეს ყველაფერი კარგი იქნებოდა კედელზე გაკრული რომ ყოფილიყო , რადგანაც მოსწავლეებმა დაკვირვებიდან გამომდინარე არ იცოდნენ მიზანი,რადგანაც გზადაგზა უჭირთ მათ მიზნის ამოცნობა და არ იციან ასევე რითი ფასდებიან. (სავარაუდოდ მე-6 კლასია ...)

თვითონ მასწავლებელმა წაიკითხა მოთხრობა ეტყობა რომ თავიდან ბოლომდე და თქვა მხოლოდ ის რომ : „შეგვეცვალა აზრები ხომ?“ და ამით ამოწურა. ანუ აქ მიზნობრივად და თანმიმდევრულად ერთობლივი ,მართული კითხვის აქტივობა ვერ დავინახე. აქ არც სხვადასხვა დონის სააზროვნო კითხვები დაუსვამს, თუ რამდენად გაიგეს მოთხრობა მოსწავლეებმა.

შემდეგ გადავიდა სხვა აქტივობაზე ,დაფაზე გააკრა საკვანძო სიტყვები , თვითონვე უცებ ჩამოთვალა და უთხრა რომ „არ არის ეს უცხო თქვენთვისო“. არ შეამოწმა, არ გადაამოწმა პრაქტიკულად რამდენად გააზრებული ქონდათ ბავშვებს ეს სიტყვები და მიადგა მხოლოდ ერთს „საგზალი“. (აქ განმარტა ბავშვმა თუ რას ნიშნავდა საგზალი).

ამის შემდეგ ურიგებს ბავშვებს ფურცლებს ინდივიდუალურად და შემდეგ ურიგებს წიგნებს წყვილებში და ავალებს რომ საკვანძო სიტყვების გამოყენებით შეადგინონ ამბავი ,რომელიც იქნება 10 წინადადებისგან შემდგარი და დრო მისცა 5-6 წუთი. ეს დრო ვფიქრობ არაა საკმარისი, რადგანაც ბავშვებს მხოლოდ მოსმენილი ქონდათ მასწავლებლის მიერ ერთხელ წაკითხული მოთხრობა. მათ არ წაუკითხიათ არც ინდივიდუალურად და არც წყვილებში მოთხრობა და ვფიქრობ რომ პატარა ამბის შედგენას ,სანამ მოთხრობას არ წაიკითხავენ გაუჭირდებოდათ. დრო სამუშაოდ მიცემულია 6 წუთი და ამის პარალელურად დაიწყო კედელზე გაკრული რესურსის „ დაუსვი შენს თავს კითხვების“-გარჩევა. თუკი ამბის მოფიქრება ქონდათ დავალებად შესასრულებელი აქ კავშირი ვერ ვნახე ამ კითხვების დამუშავების. ეს კითხვები მისი სამოდელო წაკითხვის შემდეგ რომ დაესვა უკეთესი იქნებოდა.

ვაკვირდები და ვხედავ რომ უჭირთ მოთხრობაზე მუშაობა ბავშვებს,გამოკვეთა რომ „ჩია’ „ავლადიდება“ უცხო სიტყვები ყოფილა და იქვე განმარეს ეს. თავიდანვე რომ ყოფილიყო მარკირებით კითხვა და უცხო სიტყვებზე ყურადღების გამახვილება უფრო კარგი იქნებოდა, ვიდრე ამბის შედგენის დროს. (გაუგებარი არაფერია რომ ამბობს

მასწავლებელი, აი თურმე ყოფილა როდესაც პრაქტიკულ მუშაობაზე გადავიდნენ ბავშვები...)

შემდეგ ისევ უბრუნდება კედელზე გაკრულ იმ რესურსს , რომელზეც ქონდათ საუბარი და საუბრობს ისევ მის ირგვლივ.

წყვილური დავალება ვერ ვნახე რა ამბები შეადგინეს ბავშვებმა რომ მომესმინა საინტერესო იქნებოდა. ანუ პრეზენტაცია არ იყო.

შემდეგ იყო ჯგუფური მუშაობა. აქ დიფერენცირებული დავალებები ვერ ვნახე. ყველას ერთი დავალება აქვთ დასამუშავებელი.

დაავალა ჯგუფებს რომ დაწერეთ ,,ნინოს პრობლემა". უჭირთ ბავშვებს ტექსტის გააზრება, რადგანაც ჯგუფების ზეპირი პასუხებიდან იკვეთება ის რომ სხვადასხვა პასუხები აქვთ ბავშვებს.

პირველი ჯგუფიდან თქვეს ნინო ცუდი ხასიათის იყოო,

მეორედან თქვეს არაო.

მესამედან ითქვა რომ მე ვნახეო ტექსტში ცუდი ხასითი აქვსო.

სინამდვილეში ტექსტში სხვა რამ ეწერა, ის რომ ნინო კომპლექსიანი იყო და არა ცუდი ხასიათის. ანუ აქაც იკევთება ის რომ ლექსიკურ ერთეულებზე თავიდანვე სწორად არ არის წარმართული მუშაობა. სიტყვა ,,კომპლექსი" არ იციან რას ნიშნავს.

შემდეგ როდესაც ჯერი მიდგა პრეზენტაციაზე ბავშვებს ეუბნება რომ დაჯექი ,ადგილიდან წაიკითხეო. არადა პრეზენტაციაზე უნდა გამოსულიყვნენ ბავშვები. პრეზენტაციის დროს ბავშვს უვითარდება მეტი პასუხისმგებლობის უნარი, რადგანა მას აკისრია ლიდერის როლი და ჯგუფის სახელი, უვითარდება აუდიტორიის ფლობის უნარი, იხევეწება მეტყველება, დიქცია, საუბრის ტონი, დგომა ..... ასე ბევრი უნარის ჩამთვლა შემიძლია.

კედელზე პროექტორით ჩართული იყო ეკრანი. ამ დროის განმავლობაში არ გამოუყენებია, მერე თუ გამოიყენებს არ ვიცი,არადა შეიძლებოდა დამატებითი საშუალებები ვიდეო, ფოტო, სლაიდი..... გამოეყენებინა.

გაკვეთილის მსვლელობას გზადაგზა რომ ვაკვირდებოდი ეფექტურ უკუკავშირსაც ვერ ვხედავდი რომ აძლევდა მოსწავლეებს. ვფიქრობ რომ არ იყენებს.

ეს არის პირველი თხუთმეტი წუთის გარჩევა რაც დავინახე. შემდეგ რა და როგორ მოხდა ვერ ვისაუბრებ. იმედი მაქვს კოლეგას თავისი კოლეგები მისცემდნენ ეფექტურ უკუკავშირს და ვფიქრობ მას სამომავლოდ ყველა დეტალი გამოსწორებული ექნებოდა.